დავით თინიკაშვილი

რომის უპირატესობის შესახებ პირველი ათასწლეულის აღმოსავლურ საქრისტიანოში

რეზიუმე

ქრისტიანული სამყაროს პირველ ათასწლეულში რომის პაპის პირველობა იურისდიქციული თვალსაზრისით ყველას მიერ არ იყო აღიარებული. თუმცა რომის ეკლესიის პირველი იერარქი ქრისტიანულ სამყაროში მიიჩნეოდა როგორც primus inter pares (პირველი თანასწორთა შორის).

პაპი კლიმენტის ეპისტოლე კორინთოს ეკლესიისადმი მიჩნეულია პირველ წერილობით ძეგლად, რომელშიც სხვა ეკლესიებზე რომის საყდრის პასუხისმგებლობა ჩანს. ეპისტოლე მოუწოდებს კორინთის ეკლესიის წევრებს მშვიდობისა და წესრიგის დაცვისკენ.

ასევე არსებობს საპირისპირო მიმართულებით (აღმოსავლეთიდან რომში) გაგზავნილი წერილები. მაგალითად, ეგნატე ანტიოქელის წერილი რომაელებისადმი, მისი დანარჩენი წერილებისგან განსხვავებით, არ შეიცავს შეგონებას ან რეკომენდაციას რომის საყდრისთვის, რომ ამ უკანასკნელს თავი დაეცვა მწვალებლობისგან, არამედ წერილში მხოლოდ რომაული ეკლესიის ქება ისმის, რომელიც „სხვებს ასწავლის“.

ირინეოს ლიონელის სიტყვით, რომის ეკლესიის „უდიდესი ავტორიტეტის გამო არსებობს აუცილებლობა, რომ ყველა ეკლესია, ანუ ქრისტიანები ყველგან, ეთანხმებოდეს მას, რადგან აქ სამოციქულო ტრადიცია ყოველთვის ყველას მიერ იყო დაცული“.

ასევე ცნობილია, რომ პოლიკარპე სმირნელსა და პაპ ანიკეტეს შორის აღდგომის დღესასწაულის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. შეთანხმება არ მიღწეულა, მაგრამ ისინი შერიგდნენ, რადგან არ სურდათ ერთმანეთთან კამათი. ორივე მხარე მშვიდობიანად აგრძელებდა საკუთარი განსხვავებული ტრადიციების შენარჩუნებას.

მოგვიანებით რომთან კონფლიქტი წარმოიშვა ერეტიკოსთა ნათლობის საკითხთან დაკავშირებითაც. რომის ეკლესიაში ერეტიკოსები ხელახლა არ ინათლებოდნენ. მაგრამ ჩრდილოეთ აფრიკის ეკლესიაში, კვიპრიანე კართაგენელის დროს, აუცილებელი იყო ერეტიკოსების ხელახალი ნათლობა. დაპირისპირების დროს კვიპრიანე ამბობს, რომ არცერთ ეპისკოპოსს არ ჰქონდა სხვაზე მეტი ძალაუფლება.

თუმცა, კვიპრიანე აშკარად თავდაცვით მდგომარეობაშია რომთან დაპირისპირებისას. წმინდა მამა აღნიშნავდა, რომ არ აპირებდა საკუთარი აზრის სხვებისთვის თავს მოხვევას და არც პაპ სტეფანესთან კავშირის გაწყვეტა სურდა. მკვლევართა აზრით, ზოგადად, კვიპრიანე ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული რომის ეკლესიის მიმართ. კვიპრიანესთვის რომის კათედრა ეკლესიის ერთიანობის საფუძველი და გარანტი იყო. ამიტომაც, როცა საკუთარ ეკლესიაში დესტრუქციული ძალების წინაშე დგებოდა, ყოველთვის მზად იყო რომისთვის მიემართა, რომელსაც „საეპისკოპოსო ერთიანობის წყაროდ მიიჩნევდა“.

ამრიგად, ასეთი ისტორიული შემთხვევები გვეხმარება გავიგოთ, რომ ადრეულ საუკუნეებში რომის პაპს არ გააჩნდა საბოლოო და ყოვლისმომცველი ძალაუფლება (როგორც მონარქს) დანარჩენ ეკლესიებზე. თუმცა, უდაოა, რომ რომის საყდარს ჰქონდა განსაკუთრებული ავტორიტეტი, პრესტიჟი და გავლენა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე.

საკვანძო სიტყვები: *რომის კათოლიკობა, აღმოსავლური მართლმადიდებლობა, პაპის პრიმატი, პენტარქია, საეკლესიო იურისდიქცია.*

ქრისტიანულ სამყაროში რომის კათედრის ადგილის განსაზღვრის შესახებ დისკუსიებისას ხშირად უთითებენ პირველ ათასწლეულში არსებულ ვითარებაზე, რაც სამაგალითოდ მიიჩნევა.

მაგრამ პირველ ათასწლეულში ამ საკითხთან დაკავშირებული მდგომარეობა არ იყო იმდენად ერთგვაროვანი, რომ მისგან რაიმე სახის საერთო მახასიათებლის ან კრიტერიუმის გამოკვეთა ან, მით უმეტეს, ცალსახა დასკვნის გაკეთება იყოს შესაძლებელი. ამას აღიარებს როგორც მართლმადიდებლური[1], ისე კათოლიკური[2] მხარე. ქვემოთ განხილულია ადრეულ საუკუნეებში არსებული ვითარება, როდესაც დასაძირკვლდა რომის გამორჩეული ავტორიტეტი მთელს საქრისტიანოში.

რომის პაპის უზენაესობა და მისადმი დაქვემდებარებულობა არათუ აღმოსავლეთში, არამედ თვით დასავლეთშიც არ ყოფილა ყოველთვის თანაბარი ძალისა. მაგ., იტალიისგან განსხვავებით, ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაზე პაპის ძალაუფლება შედარებით ნაკლებად ვრცელდებოდა. მართალია, ჩრდილოეთ აფრიკის ეკლესია აღიარებდა რომის ეკლესიის ავტორიტეტს სარწმუნოებრივ საკითხებში, მაგრამ კართაგენში მოწვეულ საკუთარ კრებებზე დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს რომის დირექტივების გარეშე. ამრიგად, ჩრდილოეთ აფრიკული ეკლესიისთვის რომის ეკლესია უმეტესად აღიქმებოდა, როგორც „უფროსი და, ვიდრე დედა-ეკლესია"[3].

მართალია, პეტრე მოციქულის გარდაცვალების შემდეგ საეკლესიო ტრადიცია კლიმენტის მიიჩნევს რომის პირველ „ეპისკოპოსად", მაგრამ შემდგარი კონსენსუსის მიხედვით რომის ეკლესიას მეორე საუკუნის შუა წლებამდე პრესვიტერთა ჯგუფი მართავდა და არა ეპისკოპოსი მონარქიულად[4].

დაახლოებით 95 წელს დაწერილი რომის ეპისკოპოსის, კლიმენტის, ეპისტოლე[5] კორინთოს ეკლესიისადმი პირველ შემთხვევად ითვლება, რომლიდანაც სხვა ეკლესიებში არსებულ მდგომარეობაზე რომის საყდრის პასუხისმგებლობა იკვეთება. აქ წარმოქმნილი შფოთის სავარაუდო მიზეზად მიჩნეულია გნოსტიკოსთა სურვილი, კორინთელი საეკლესიო პირები ღვთისმსახურებისგან განეყენებინათ.

რომაული კათოლიკობის აპოლოგეტები ფიქრობდნენ, რომ პაპის ეს ეპისტოლე მიანიშნებს სხვა ეკლესიებზე რომის უპირატესობასა თუ დომინანტობაზე, თუმცა თვით კათოლიკე თეოლოგთა შორის, რომლებიც ცდილობენ ეს თემა ობიექტურად იკვლიონ (მაგ., კლაუს შაცი), ამგვარი აზრი ნაჩქარევად მიაჩნიათ[6]. ნათელია, რომ ეპისტოლე არა ერთპიროვნული მმართველის გამგებლობის, არამედ საერთო სოლიდარობის კონტექსტში მოუწოდებს კორინთოს ეკლესიის წევრებს სიმშვიდისა და წესრიგისკენ. მართლმადიდებელი თეოლოგის, ვესელინ კესიჩის, აზრითაც, პაპი ამ ეპისტოლეში არც რომის პირველობას ახსენებს და არც პეტრე მოციქულზე აპელირებს[7]. მეორე მხრივ, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ რომიდან გაგზავნილ ამ ეპისტოლეში აშკარად იგრძნობა ძალმოსილი, ავტორიტეტული და მზრუნველი ხმა. ამასთან, ჩანს, რომ რომის პონტიფიკოსები შემდგომ პერიოდშიც არანაკლებად იჩენენ აღმოსავლელი ქრისტიანებისადმი მზრუნველობას, მაგ., ამ კონტექსტში ახსენებს ეპისკოპოსი დიონისე

---

[1] Siecienski, Edward. *The Papacy and the Orthodox: Sources and History of a Debate*. New Yourk: Oxford University Press 2017, p. 140.

[2] Kasper, Walter. *"Introduction to the Theme and Catholic Hermeneutics of the Dogmas of the First Vatican Council"*, in: Kasper, Walter (ed.). *The Petrine Ministry: Catholics and Orthodox in Dialogue*. New York: Newman Press 2006, p. 17.

[3] Schatz, Klaus. *The Papal Primacy: From its origins to the present*. Collegeville, Minn.: Liturgical Press 1996, p. 33.

[4] Sullivan, Francis. *From Apostles to Bishops: The Development of the Episcopacy in the Early Church*. Mahwah, N.: Newman Press 2001, p. 100.

[5] რომის პაპ კლიმენტის აღნიშნული ეპისტოლე თარგმნილია ახალქართულადაც, იხ.: წმ. კლიმენტი რომაელი. *„კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე"* (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო გიორგი ზვიადაძემ), ჟურნალი "გზა სამეუფოს" დანართი #3 თბილისი, 1997.

[6] Schatz, *Papal Primacy*, p. 5.

[7] Kesich, *Peter's Primacy*, p. 61.

კორინთელი რომის ეპისკოპოს სოტერის (166-174 წწ.), რომელიც „მრავალ ეკლესიას ყველა ქალაქში უგზავნის შეწირულობას“[8].

საინტერესოა, რატომ არ მიმართეს კორინთელებმა ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად იმჟამად ცოცხალ იოანე მოციქულს (†100)? შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ, სავარაუდოდ, ყველასთვის საცნაური უნდა ყოფილიყო, რომ „რომის ეკლესიის რეცეფციას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სხვა დანარჩენი ეკლესიებისას”[9]. მართალია, ჯერჯერობით დარწმუნებით ვერ ვიტყვით, კორინთელებმა მიმართეს რომის პაპს თუ ამ უკანასკნელმა თავად მიიჩნია საჭიროდ ამ დაპირისპირებაში ჩარევა, მაგრამ ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ პაპის ეს ეპისტოლე იმდენად ავტორიტეტული და პატივდებული ტექსტი აღმოჩნდა აღმოსავლეთში, რომ ევსები კესარიელის ცნობით, ის საუკუნეების განმავლობაში იკითხებოდა „მრავალ ეკლესიაში”[10].

რომის უპირატესობის ხასიათისა და ბუნების დადგენისთვის აუცილებელია საპირისპირო მიმართულებით (აღმოსავლეთიდან რომისკენ) გაგზავნილი წერილების ანალიზიც. მაგ., ეგნატე ანტიოქიელის (†110) ეპისტოლე რომაელთადმი, განსხვავებით მისი დანარჩენი ეპისტოლეებისგან, შეიცავს არა მოწოდებას ან რაიმე დარიგებას ერესებისგან თავდაცვასთან დაკავშირებით, არამედ მხოლოდ რომის ეკლესიის ქებას, რომელიც „სხვებს ასწავლის“[11] ღვთისმოშიშებასა თუ დოქტრინულ სიწმინდეს. ამ სრულიად განსხვავებული ტონისა და შინაარსის წერილში ეგნატე რომის ეკლესიაზე წერს, რომ ის „პირველობს სიყვარულში“[12].

კათოლიკობის აპოლოგეტები ამ გამოთქმას რომის ეკლესიის ლამის „კონსტიტუციურად გარანტირებული“ და მთელ ეკლესიაზე უპირობო მეთაურობის საფუძვლად მიიჩნევდნენ[13]. მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია უცხო იქნებოდა ეგნატეს თანამედროვეებისათვის. წერილში ნახსენები სიტყვა „პირველობა“ უფრო შეიძლება დაუკავშირდეს „ერთგვარ უნივერსალურ რელიგიურ და სულიერ მნიშვნელოვნებას“[14]. ეგნატეს ეს სიტყვები ნაკლებად გულისხმობს სხვა ეკლესიებზე ძალაუფლებას ან მით უმეტეს - იურისდიქციულ პირველობასა და მეთაურობას[15].

ადრეულ ეკლესიაში რომის სტატუსზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით წმინდა ირინეოს ლიონელის (†180) ცნობილ სიტყვებს, რომლის მიხედვითაც, რომის ეკლესიის „უდიდესი ავტორიტეტის გამო (propter potentiorem principalitatem) არსებობს აუცილებლობა, რომ ყველა ეკლესია, ანუ ქრისტიანები ყველგან, ეთანხმებოდეს (convenire) მას, რადგან აქ სამოციქულო ტრადიცია ყოველთვის ყველას მიერ იყო დაცული“.[16]

---

[8] ევსები კესარიელი. *საეკლესიო ისტორია.* (თავი 4.23). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა. თბ., ახალი ივირონი 2007, გვ. 170.

[9] Афанасьев, Николай. *Церковные Соборы и их Происхождение*. М., Свято-Филаретовский Православно-Христианский Институт 2003, с. 85.

[10] ევსები კესარიელი. *საეკლესიო ისტორია.* (თავი 3.16), გვ. 105.

[11] ეგნატი ანტიოქიელი. *ეპისტოლე რომაელთა მიმართ* (თავი 3.1), კრებულში: მოციქულებრივ მამათა სწავლანი. ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯუღელმა. თბ., ბეთანია 2014, გვ. 154. ამ ფრაზასთან დაკავშირებულ ვ. ჯუღელისეული თარგმანის სქოლიოში აღინიშნება: „პ. კამლო მიიჩნევს, რომ აქ ეგნატე ანტიოქიელი კლიმენტი რომაელის კორინთელთა მიმართ გაგზავნილ წერილს გულისხმობს“. მართლაც, ეგნატეს ეს ეპისტოლე კლიმენტი ეპისტოლის დაწერიდან დაახლ. 10 წლის შემდგომაა დაწერილი.

[12] ეგნატი ანტიოქიელი. *ეპისტოლე რომაელთა მიმართ* (პროლოგი), გვ. 151. (არსებობს ამ ეპისტოლის სხვა ახალქართულენოვანი თარგმანიც, იხ.: „წმ. ეგნატე ანტიოქიელის ეპისტოლე რომაელთა მიმართ“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, გული გონიერი: რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი 1, 2011, გვ. 39-45).

[13] Newman, John Henry. *"An Essay on the Development of Christian Doctrine",* in: Conscience, Consensus, and the Development of Doctrine. New York: Image Books 1992, p. 163.

[14] Schatz, *Papal Primacy*, p. 6.

[15] Afanassieff, Nicholas. *"The Church Which Presides in Love",* in: The Primacy of Peter: Essays in Ecclesiology and the Early Church. Edited by John Meyendorff. Crestwood, NY: SVS Press 1992, pp. 127-128.

[16] Irenaeus of Lyons. Against the Heresies, 3.3.2; Irenaeus of Lyons. Against the Heresies, Book 3, Trans. Dominic J. Unger and M. C. Steenberg. New York: Newman Press 2012, p. 32, ციტირ.: Siecienski, Papacy, p. 147.

ცხადია, ირინეოსის ამ სიტყვების განმარტებას ინტენსიური დებატების გარეშე არ ჩაუვლია. მაგრამ ბოლო ხანს მართლმადიდებელი და კათოლიკე თეოლოგები შეთანხმდნენ, რომ ირინეოსი აქ გულისხმობს რომის ეკლესიას, რომელშიც „ყველა ეკლესიის უნივერსალური ტრადიციის უფრო ნათლად და სარწმუნოდ გამოხატვაა შესაძლებელი“[17].

რომთან ურთიერთობების კონტექსტში საყურადღებოა აგრეთვე ორი ცნობილი ფაქტი, რომლებიც მიუთითებს, რომ რომის კათედრისადმი არსებული პატივისცემა ყოველთვის ყველა აქტორის (პიროვნება ან საეკლესიო თემი) მისდამი უსიტყვო მორჩილებას როდი ნიშნავდა. თუმცა ამგვარი დაუმორჩილებლობის მაგალითები ადრეულ ეკლესიაში არ ყოფილა ხშირი.

პირველი ასეთი ფაქტი უკავშირდებოდა მეორე საუკუნის მიწურულს წარმოქმნილ კონფლიქტს აღდგომის აღნიშვნის საკითხზე კვირა დღეს, რაც რომის ეკლესიის ტრადიცია იყო. ამისგან განსხვავებით, მცირე აზიის ეკლესიები აღდგომას აღნიშნავდნენ ებრაული წესის მიხედვით, ნისანის თვის მეთოთხმეტე დღეს, რომელიც ყოველთვის კვირა დღეს არ ემთხვეოდა. სხვათა შორის, ამ საკითხზე პირველი აზრთა სხვაობა პოლიკარპე სმირნელსა და რომის პაპ ანიკეტუსს (†168) შორის წარმოიქმნა. მართალია, ისინი ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ „მყისვე შერიგდნენ, არ სურდათ რა ამ საკითხის გარშემო ერთმანეთთან კამათი“[18]. ორივე მხარემ მშვიდობიანად გააგრძელა საკუთარი განსხვავებული ტრადიციის დაცვა.

მოგვიანებით პაპმა ვიქტორმა (†199) სურვილი გამოთქვა, ამ საკითხის დასარეგულირებლად სხვადასხვა რეგიონში მოწვეულიყო სინოდები, რომელთა უმეტესობამაც, სხვათა შორის, რომის ტრადიციის მიხედვით - ანუ კვირა დღეს აღდგომის აღნიშვნა გადაწყვიტა. თუმცა პოლიკრატე ეფესელმა, რომელიც ამ პროტესტისას მცირეაზიელ ეპისკოპოსებს ხელმძღვანელობდა, უარი განაცხადა სხვებისთვის მიებაძა[19]. სამწუხაროდ, ამის გამო პაპმა ვიქტორმა ხისტი გადაწყვეტილება მიიღო და მცირეაზიელ ეპისკოპოსებთან ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა.

ცნობილია, პონტიფიკოსის ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილებით გამოწვეული რეაქცია ირინეოს ლიონელისა, რომელიც პაპ ვიქტორიუსს შეახსენებს, რომ მისი წინამორბედი პაპები უპრობლემოდ იწყნარებდნენ ამ მხრივ არსებული პრაქტიკების მრავალფეროვნებას[20]. ამიტომ, ასეთი მკვეთრი დაპირისპირება არ იყო აუცილებელი, რადგან ორივე ტრადიციას თავისუფლად შეეძლო ეარსება ერთმანეთის პარალელურად[21]. ირინეოსი დარწმუნებული იყო, რომ, თუ საქმე დოგმატებს არ ეხებოდა, ადგილობრივ ეკლესიას შეეძლო რომისგან განსხვავებული ტრადიცია ჰქონოდა[22].

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მცირე აზიელი ეპისკოპოსების მიერ გამოვლენილი ურჩობისა, რომის პაპის მხრიდან მათ რელიგიურ ცხოვრებაში ინტერვენციის უფლება აღნიშნულ ეპისკოპოსებს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებიათ[23].

ამ კონფლიქტიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ რომთან დაპირისპირება წარმოიშვა ერეტიკოსების ნათლობის საკითხზეც. რომის ეკლესიაში ერეტიკოსებს ხელმეორედ არ ნათლავდნენ. ჩრდილოეთ აფრიკის ეკლესიაში კი კვიპრიანე კართაგენელის დროს ერეტიკოსთა გადანათვლა აუცილებლად ითვლებოდა. ამ კონტროვერსიის დროს, გადანათვლის მომხრე

---

[17] Schatz, *Papal Primacy*, p. 10.

[18] ევსები კესარიელი. *საეკლესიო ისტორია.* (თავი 5.24). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა. თბ., ახალი ივირონი 2007, გვ. 225.

[19] McCue, James. *"The Roman Primacy in the Second Century and the Problem of the Development of Dogma"*, Theological Studies 25, 1964, p. 180.

[20] Behr, John. *"St Irenaeus of Lyons and the Church of Rome",* in: Chryssavgis, John (ed.). *Primacy in the Church: The Office of Primate and the Authority of Councils.* Vol. 1: Historical and Theological Perspectives. Yonkers, NY: SVS Press 2016, p. 83.

[21] Schatz, *Papal Primacy*, p. 11-12.

[22] Meier, John. *"Petrine Ministry in the New Testament and in the Early Patristic Traditions",* How Can the Petrine Ministry Be a Service to the Unity of the Universal Church? Edited by James Puglisi. Grand Rapids, MI: Eerdmans 2010, p. 31.

[23] Minnerath, Roland. *"The Petrine Ministry in the Early Patristic Tradition",* How Can the Petrine Ministry Be a Service to the Unity of the Universal Church? Edited by James Puglisi. Grand Rapids, MI: Eerdmans 2010, p. 38.

კვიპრიანე თავისი ქმედებით პაპ სტეფანეს აგრძნობინებს, რომ არცერთ ეპისკოპოსს არ გააჩნია სხვა ეპისკოპოსზე მეტი ძალაუფლება[24]. თუმცა კვიპრიანე რომთან დაპირისპირებისას, „აშკარად თავდაცვით პოზაშია"[25]. წმინდა მამა აღნიშნავდა, რომ არ აპირებს საკუთარი აზრი მოახვიოს სხვებს და არც პაპ სტეფანესთან კავშირის გაწყვეტა სურს. მკვლევართა აღიარებით, საერთო ჯამში, „კვიპრიანე ღრმა პატივისცემით იყო განმსჭვალული რომის ეკლესიის მიმართ"[26]. კვიპრიანესთვის რომის კათედრა ეკლესიის ერთიანობის საფუძველი და გარანტია. ამიტომაც, როცა იგი საკუთარ ეკლესიაში გარკვეულ ძალებს უპირისპირდებოდა, ყოველთვის მზად იყო მიემართა რომისთვის, რომელიც „საეპისკოპოსო ერთიანობის წყაროდ (principalem unde unitas sacerdotalis)"[27] მიაჩნდა.

ამრიგად, მსგავსი ისტორიული შემთხვევები იმის გააზრებაში გვეხმარება, რომ ადრეულ საუკუნეებში რომის ეკლესიას არ გააჩნდა საბოლოო და ყოვლისმომცველი ძალაუფლება დანარჩენ ეკლესიებზე. ყველა ადგილობრივი ეკლესია როდი იყო მოქცეული მის იურისდიქციაში, როგორც ასეთი. თუმცა უდავოა, რომ რომის კათედრას გამორჩეული ავტორიტეტი, პრესტიჟი და გავლენა ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც, სხვათა შორის, დროთა განმავლობაში ორივე ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით (აღდგომის აღნიშვნის დრო და ერეტიკოსთა გადანათვლა) სწორედ რომის პოზიცია გავრცელდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

ბიბლიოგრაფია - Bibliography:

1. ევსები კესარიელი. *საეკლესიო ისტორია*. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა. თბ., ახალი ივირონი 2007.
2. ეგნატი ანტიოქიელი. *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, კრებულში: მოციქულებრივ მამათა სწავლანი. ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯუღელმა. თბ., ბეთანია 2014.
3. კლიმენტი რომაელი. *„კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე"* (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო გიორგი ზვიადაძემ), ჟურნალი "გზა სამეუფოს" დანართი #3 თბილისი, 1997.
4. Афанасьев, Николай. *Церковные Соборы и их Происхождение*. М., Свято-Филаретовский Православно-Христианский Институт 2003.
5. Мейендорф, Иоанн. *Введение в Святоотеческое Богословие*. Клин, 2001.
6. Afanassieff, Nicholas. *"The Church Which Presides in Love",* in: The Primacy of Peter: Essays in Ecclesiology and the Early Church. Edited by John Meyendorff. Crestwood, NY: SVS Press 1992, pp. 127-128.
7. Behr, John. *"St Irenaeus of Lyons and the Church of Rome",* in: Chryssavgis, John (ed.). *Primacy in the Church: The Office of Primate and the Authority of Councils.* Vol. 1: Historical and Theological Perspectives. Yonkers, NY: SVS Press 2016, pp. 69-89.
8. Cyprian of Carthage. The Letters of Cyprian of Carthage. Vol. III. Translated by G.W. Clarke. New York: Newman Press 1988.

[24] Мейендорф, Иоанн. *Введение в Святоотеческое Богословие*. Клин, 2001, с. 86.

[25] Schatz, *Papal Primacy*, p. 14.

[26] Dunn, Geoffrey. *Cyprian and the Bishops of Rome: Questions of Papal Primacy in the Early Church*. Strathfield, NSW, Australia: St Pauls 2007, p. 194.

[27] Cyprian of Carthage. Letter 59, 14.1; Cyprian of Carthage. The Letters of Cyprian of Carthage. Vol. III. Translated by G.W. Clarke. New York: Newman Press 1988, p. 82.

9. Dunn, Geoffrey. *Cyprian and the Bishops of Rome: Questions of Papal Primacy in the Early Church*. Strathfield, NSW, Australia: St Pauls 2007.
10. Kasper, Walter. *"Introduction to the Theme and Catholic Hermeneutics of the Dogmas of the First Vatican Council",* The Petrine Ministry: Catholics and Orthodox in Dialogue. Edited by Walter Kasper. New York: Newman Press 2006, pp. 7-23.
11. McCue, James. *"The Roman Primacy in the Second Century and the Problem of the Development of Dogma"*, Theological Studies 25, 1964, pp. 161-196.
12. Meier, John. *"Petrine Ministry in the New Testament and in the Early Patristic Traditions",* How Can the Petrine Ministry Be a Service to the Unity of the Universal Church? Edited by James Puglisi. Grand Rapids, MI: Eerdmans 2010, pp. 13-33.
13. Minnerath, Roland. *"The Petrine Ministry in the Early Patristic Tradition",* How Can the Petrine Ministry Be a Service to the Unity of the Universal Church? Edited by James Puglisi. Grand Rapids, MI: Eerdmans 2010, pp. 34-48.
14. Newman, John Henry. *"An Essay on the Development of Christian Doctrine",* in: Conscience, Consensus, and the Development of Doctrine. New York: Image Books 1992, p. 160-178.
15. Schatz, Klaus. *The Papal Primacy: From its origins to the present*. Collegeville, Minn.: Liturgical Press 1996.
16. Siecienski, Edward. *The Papacy and the Orthodox: Sources and History of a Debate*. New York: Oxford University Press 2017.
17. Sullivan, Francis. *From Apostles to Bishops: The Development of the Episcopacy in the Early Church*. Mahwah, N.: Newman Press 2001.